საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერუშეთის წყاროსთავი



ერუშეთის წყاროსთავი, გუმბათოვანი ეკლესია ხოზაფინის (კარწახის) ტბის სიახლოვეს (ამჟამად თურქეთის ტერიტ.), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. ისტ. ცნობებით, წყاროსთავში იყო საეპისკოპოსო კათედრა, წყاროსთაველი ეპისკოპოსი კი 40 მთავარ იერარქს შორის მე-14 ადგილს იკავებდა ერუშნელი ეპისკოპოსის წინ. ტაძარი VI ს. დასაწყისში უნდა იყოს აგებული ერისთავ მირდატის მიერ. მოგვიანებით ეკლესია დაინგრა და ბაგრატ III-ის დროს, X ს. ბოლოს, აიგო გუმბათიანი ეკლესია, რასაც ადასტურებს ტაძრის წარწერები. ძეგლი მთლიანად განადგურებულია. არსებობს მხოლოდ ე. თაყაიშვილის ექსპედიციის მასალები – რამდენიმე ფოტო და ნახაზი, ასევე ს. კლდიაშვილის რამდენიმე ჩანახატი.

წყარო: ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: გ ი ვ ი ა შ ვ ი ლ ი ი., კ ო პ ლ ა ტ ა ძ ე ი., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.

თ. მარგველაშვილი